



წმიდა ექვთიმე ღვთისკაცი  
(თაყაიშვილი)

1862 – 1953



ბიზანტინოლოგთა საერთაშორისო ასოციაციის საქართველოს  
ბიზანტინოლოგთა ეროვნული კავშირი

•

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკად. გიორგი წერეთლის სახელობის  
ადმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი

•

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის  
ინსტიტუტი

•

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

•

### **პროგრამა «ლოზოსი»**

პუბლიკაციები და ღონისძიებები კლასიკური ფილოლოგიის,  
ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სფეროში

### **კრებული ქვეყნდება პროგრამის**

***დიონისიოს ვარელას ბიზანტინისტიკის განვითარებისათვის***

***მხარდაჭერით***

Η συλλογή εκδόθηκε με την υποστήριξη του προγράμματος  
*Διονύσιος Βαρελάς για την ενίσχυση της διδασκαλίας των βυζαντινών*  
*σπουδών*

The collection of papers is published with the support of the programme

*Dionysios Varelas for the Development of Byzantine Studies*



თბილისი  
2020

# Βυζαντινές Σπουδές στη Γεωργία – 4

Αφιέρωμα

Εις μνήμην του Αγίου Ευθυμίου του ανθρώπου του Θεού  
(Τακαϊσβίλι)

Επιμέλεια:

Νέλι Μαχαράτζε, Τίνα Ντολίτζε

Τεχνική επιμέλεια:

† Αικατερίνη Τζιντσαράτζε  
Γκιόργκι Ματσαρασβίλι

# Byzantine Studies in Georgia – 4

Dedicated to the Saint Euthymius the Man of God

(Takaishvili)

Edited by:

Neli Makharadze, Tina Dolidze

Technical editors:

† Ekaterine Jintcharadze  
Giorgi Macharashvili

Τιφλίδα 2020

Tbilisi 2020

# ბიზანტინოლოგია საქართველოში – 4

ეძღვნება წმიდა ექვთიმე ღვთისკაცის  
(თაყაიშვილი) ხსოვნას

რედაქტორები:  
ნელი მახარაძე, თინა დოლიძე

ტექნიკური რედაქტორები:  
† ეკატერინე ჯინჭარაძე  
გიორგი მაჭარაშვილი

თბილისი  
2020

დააკაბადონა ირინე სტროგანოვამ, ყდის დიზაინი ალექო ჯიქურიძის

ISBN 978-9941-468-94-0

© საგამომცემლო პროგრამა „ლოგოსი“, 2020

პროგრამა „ლოგოსი“  
ილია ჭავჭავაძის გამზირი 13,  
თბილისი 0179  
ტელ. 225-02-58, ფაქსი 222-11-81  
ელ. ფოსტა: greekstudies@tsu.ge

სარჩევი  
CONTENTS  
ΠΕΡΙΕΧΟΜΕΝΑ

წინასიტყვაობა.....	14
Foreword.....	18
მისალმებები.....	22

**გამოკვლევები. RESEARCHES. ΜΕΛΕΤΕΣ**

<b>გიორგი ალიბეგაშვილი .....</b>	<b>31</b>
მოციქულთა მისიონერული მოღვაწეობა საქართველოში	
Giorgi Alibegashvili .....	42
Apostles' Missionary Activities in Georgia	
<b>გულბად ამირანაშვილი .....</b>	<b>43</b>
ექვთიმე თაყაიშვილი და ეროვნული განძი	
Gulbad Amiranashvili .....	53
Ekvtime Takaishvili and Georgian National Treasury	
<b>მაია ბარამიძე .....</b>	<b>54</b>
ზოგიერთი სინონიმი იოანე სინელის "კიბის" ქართულ პროზაულ თარგმანებში	
Maia Baramidze .....	64
Some Synonyms in the Georgian Prosaic Translations of John of Sinai's "The Ladder"_(A Comparative Analysis)	
<b>Михаил Бибигов .....</b>	<b>65</b>
Вечность и Время в византийской традиции	
Michael Bibikov .....	72
Byzantine Temporal Categories	
<b>თეოდორ დე ბრუინი, ქეროლ ჰარისონი.....</b>	<b>74</b>
პატრისტიკა მსოფლიოში: დარგის მდგომარეობა	
<b>ქეროლ ჰარისონი, თეოდორ დე ბრუინი.....</b>	<b>80</b>
ძველი და ახალი თემები პატრისტიკაში	
<b>ეკატერინე გედევანიშვილი .....</b>	<b>86</b>
მთის ასახულობანი XII-XIII საუკუნეების ქართულ კედლის მხატვრობაში	
Ekaterine Gedevanishvili .....	98
Representation of Mountains in the Georgian Painting of the Twelfth and Thirteenth Centuries	

<b>ნანა გელაშვილი</b> .....	<b>99</b>
ირან-ბიზანტიის ურთიერთობები VI-VII ს-ის პირველ მესამედში	
Nana Gelashvili .....	108
Iranian – Byzantine Relations in the Sixth Century and the First Half of the Seventh Century	
<b>მარინე გიორგაძე, სოფიო ჩხარტიშვილი</b> .....	<b>109</b>
აჭარაში მცხოვრებ პონტიელ ბერძენთა ტრადიციული კალენდარული რიტუალის შესახებ	
Marine Giorgadze, Sofia Chkhartishvili .....	118
On Traditional Calendar Rituals of the Pontic Greeks in Ajara	
<b>თამარ გოგოლაძე</b> .....	<b>119</b>
ბიზანტიის ისტორიის ერთი ეპიზოდი მატიანესა, აგიოგრაფიულ და პოეტურ ტექსტებში	
Tamar Gogoladze .....	126
An Episode from the History of Byzantium in a Chronicle and in Hagiographic and Poetic Texts	
<b>ია გრიგალაშვილი</b> .....	<b>128</b>
იპოლიტე რომაელის "აღსასრულისათვის ჟამთაძსა" სტეფანე მტბევეარის "წმიდა გობრონის წამებაში"	
Ia Grigalashvili .....	132
"On the End of the World" by Hippolytus of Rome in "The Martyrdom of Saint Gobron" by Stephen of Tbeti	
<b>თინა დოლიძე</b> .....	<b>133</b>
ორიგენე – ახალი შემეცნებითი სისტემის არქიტექტორი	
Tina Dolidze .....	145
Origen – an Architect of the Novel Cognitive System	
<b>ეკა დულაშვილი</b> .....	<b>146</b>
იოანე დამასკელის ჰიმნოგრაფია X ს-ის ქართულ იადგარებში	
Eka Dughashvili .....	153
John of Damascus' Commemoration and Hymnography in 10 <sup>th</sup> Century Georgian Iadgaris	
<b>ელისო ელიზბარაშვილი</b> .....	<b>155</b>
მეფე მირიანის ნადირობის დროს მზის დაბნელების სასწაულის ინტერპრეტაციისათვის	
Eliso Elizbarashvili .....	167
For the Interpretation of the Miracle of Solar Eclipse During Hunting of King Miriani	
<b>ირინე ვარშალომიძე, ნინო ძნელაძე</b> .....	<b>168</b>
ბათუმის არქეოლოგიურ მუზეუმში დაცული ბიზანტიური ოქროს მონეტები	



Irina Varshalomidze, Nino Dzneladze .....	174
Byzantine Gold Coins Preserved in Batumi Archaeological Museum	
<b>ნათელა ვაჩნაძე, ლია კიკნაძე .....</b>	<b>175</b>
თეოდორე სალოსის სასწაული და ცად ამბლების ისტორია	
Natela Vachnadze, Lia Kiknadze .....	180
The Miracle of Theodore the Holy Fool and History of his Asscention to Heaven	
<b>ლალი ზაქარაძე .....</b>	<b>181</b>
ქრისტიანული ფილოსოფია შუა საუკუნეების საქართველოსა და ბიზანტიაში	
Lali Zakaradze .....	193
Christian Philosophy in Medieval Georgian and Byzantine Philosophy	
<b>ხათუნა თოდაძე.....</b>	<b>194</b>
ქართულ-ბიზანტიური სამონასტრო ცხოვრების წესი	
Khatuna Todadze.....	202
Structure of Georgian-Byzantine Monastic Life	
<b>თინა იველაშვილი.....</b>	<b>203</b>
ბერძენების კომპაქტურად შემოსახლება სამცხე-ჯავახეთში	
Tina Ivelashvili.....	212
Compact Greek Settlements in Samtskhe-Javakheti	
<b>თენგიზ ირემაძე.....</b>	<b>213</b>
ნეოპლატონური მოძღვრება სულის შესახებ და მისი ბიბლიური ტრანსფორმაცია იოანე პეტრიწთან	
Tengiz Iremadze .....	219
Neo-Platonic Doctrine about Soul and its Biblical Transformation by Ioane Petritsi	
<b>ექვთიმე კოჭლამაზაშვილი.....</b>	<b>220</b>
ქართული ვერსია წმ. გრიგოლ ნოსელის სახელით წარწერილი ენკომიისა წმიდა მამადადმი	
Ekvtime Kochlamazashvili.....	230
Georgian Version of the Encomium to St. Mamas Ascribed to St. Gregory of Nyssa	
<b>რუსუდან ლაბაძე.....</b>	<b>231</b>
ერთი ბიზანტიური აპოკრიფის ვარიაციები ხალხურ და ოფიციალურ ქრისტიანობაში	
Rusudan Labadze.....	239
Variations of One Byzantine Apocryphon in Popular and Official Christianity	
<b>ირმა მათიაშვილი .....</b>	<b>240</b>
ბასილი დიდის მინიატურის იკონოგრაფიული ასპექტები GR 33/48 ხელნაწერში	
Irma Mathiashvili.....	253
Iconographic Aspects of the Miniature of Gr.33/48 code	

<b>ქეთევან მამასახლისი</b> .....	<b>254</b>
ქრისტიანული ასკეტიზმი და ბასილი დიდის "ასკეტიკონი"	
Ketevan Mamasakhlisi .....	260
Christian Asceticism and the "Asketikon" of Basil the Great	
<b>ნოდარ მამისაშვილი</b> .....	<b>262</b>
მრავალხმიანობა თვით სამყაროს ბუნებაა	
Nodar Mamisashvili .....	273
Polyphony is the Nature of the Universe Itself	
<b>შოთა მამულაძე, ემზარ კახიძე, მერაბ ხალვაში</b> .....	<b>274</b>
აღმოსავლეთ ჭანეთის ადრეზიზანტიური ხანის საფორტიფიკაციო ნაგებობანი	
Shota Mamuladze, Emzar Kakhidze, Merab Khalvashi .....	285
Early Byzantine Fortifications in Eastern Part of Tzanika: Athenai and Gultvati Fortresses	
<b>მაია მაჭავარიანი</b> .....	<b>287</b>
ისტორიული სინამდვილის ასახვა წმ. დიმიტრი თესალონიკელის "სასწაულების" ეფთვიმე ათონელისეულ თარგმანში	
Maia Matchavariani .....	294
Depiction of the Historical Reality in Euthymius the Athonite's Translation of the "Miracles" of St. Demetrios of Thessaloniki	
<b>გიორგი მაჭარაშვილი</b> .....	<b>295</b>
ცხოვრება და ღვაწლი წმ. თომა იერუსალიმელი პატრიარქისა	
Giorgi Macharashvili.....	305
The Life and Activities of St. Thomas, the Patriarch of Jerusalem	
<b>ნელი მახარაძე</b> .....	<b>307</b>
ივირონის რადოლივოსის მეტოქის ქართველი იკონომოსის ანგარიში	
Neli Makharadze .....	317
An Account of a Georgian Oikonomos of the Rodolivos Metochion of the Iviron Monastery	
<b>ნინო მელიქიშვილი</b> .....	<b>319</b>
წმ. იოანე ოქროპირის კრებული "მარგალიტის" ქართული რედაქციის სტრუქტურა და თარგმანის ბერძნული წყარო	
Nino Melikishvili .....	332
Structure and the Greek Source of the Georgian Edition of St John Chrysostom's Collection "Margaliti" ("The Pearl")	
<b>დავით მერკვილაძე</b> .....	<b>334</b>
კონსტანტინეპოლში თეატინელი მისიონერების მოღვაწეობის ისტორიიდან	
Davit Merkviladze .....	343
From the History of Theatine Missionary Activities in Constantinople	

<b>ნათია მიროტაძე</b> .....	<b>345</b>
<i>ქსთერის წიგნის მესამე ბერძნული ტექსტი და მისი ქართული თარგმანი</i>	
Natia Mirotadze .....	358
<i>The Third Greek Text of the Book of Esther and its Georgian Translation</i>	
<b>მადონა მშვილდაძე</b> .....	<b>359</b>
<i>ისტორიული ჭანეთის ქვის თაღოვანი ხიდები</i>	
Madona Mshvildadze .....	366
<i>Stone Arch Bridges of Historic Chaneti</i>	
<b>მარიკა მშვილდაძე</b> .....	<b>367</b>
<i>ბიზანტიის იმპერიისა და დასავლეთ საქართველოს შავიზღვისპირეთის ისტორიის შესწავლის საკითხისათვის (IV-VI სს.)</i>	
Марика Мшвилდაдзе .....	371
<i>Об изучении истории взаимоотношения Византийской империи и черноморского побережья западной Грузии IV-VI вв.</i>	
<b>მაგდა მჭედლიძე</b> .....	<b>373</b>
<i>ჭემმარტების მონიზმისა და 'ჰაირესისთა' პლურალიზმის ურთიერთმიმართების გააზრება მეოთხე საუკუნის ბიზანტიელ ავტორებთან</i>	
Magda Mtchedlidze .....	381
<i>Le problème de la relation entre le monisme de la vérité et le pluralisme des 'hairéseis' chez les auteurs byzantins du quatrième siècle</i>	
<b>Алексей Островский</b> .....	<b>383</b>
<i>К атрибуции медной монеты Давида IV Строителя</i>	
ალექსი ოსტროვსკი .....	395
<i>დავით IV აღმაშენებლის სპილენძის მონეტის ატრიბუციისთვის</i>	
<b>ზურაბ პაპასკირი</b> .....	<b>396</b>
<i>საქართველოს მიმართ ბიზანტიის იმპერიული პოლიტიკის ზიგზაგები XI საუკუნეში</i>	
Zurab Papaskiri .....	411
<i>On Byzantine Imperial Politics towards Georgia in the 11<sup>th</sup> Century</i>	
<b>მაია რაფავა, დავით შენგელია</b> .....	<b>412</b>
<i>ბერძნული გრამატიკული სქესის გამოხატვის ცდა არსენ იყალთოელის თარგმანებში ერთ ლოგიკურ-ფილოსოფიურ ცნებასთან დაკავშირებით</i>	
Maia Raphava, David Shengelia .....	421
<i>On an Attempt to Express Greek Grammatical Gender in Arsen of Ikalto Translations in the Case of One Logical-Philosophical Term</i>	
<b>Fr. Charles Renoux</b> .....	<b>422</b>
<i>LA FÊTE DE LA TRANSFIGURATION À JÉRUSALEM ET L'ÉGLISE DE L'ASCENSION DANS LES LECTIONNAIRES GÉORGIENS</i>	

შარლ რენუ.....	437
უფლის ფერისცვალების დღესასწაულის წარმოშობის საკითხისათვის	
<b>ადოლფ მარტინ რიტერი .....</b>	<b>438</b>
ე.წ. "მილანის ტოლერანტობის ედიქტი" კონსტანტინეს რელიგიური და ეკლესიური პოლიტიკის შუქზე: უახლესი სამეცნიერო დისკუსიის მიმოხილვა	
<b>ქეთევან ტატიშვილი .....</b>	<b>461</b>
ათონელი მამების საგალობლები XVIII საუკუნის ერთ ლიტურგიკულ კრებულში	
Ketevan Tatishvili .....	466
The Canons of the Georgian Holy Fathers of Mount Athos in an 18 <sup>th</sup> Century Liturgical Book	
<b>მანანა ფხაკაძე, რაულ ჩაგუნავა (†) .....</b>	<b>467</b>
"და ბრძოდა აშოტ მამის ძმისწულსა მისსა"	
ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა ოთხი თაობის გენეალოგიური ტაბულა.....	476
Manana Pkhakadze, Raul Chagunava (†).....	477
"Ashot Fought Against His Father's Cousin"	
<b>ნინო ქავთარია .....</b>	<b>478</b>
ქართულ-ბერძნული ლიტურგიკული ხელნაწერი: XV საუკუნე და მხატვრული ტრადიცია	
Nino Kavtaria .....	489
Georgian-Greek Liturgical Manuscript (F.956, разн.о.з.0.I.58): XV Century and Artistic Tradition	
<b>მაია ქუქჩიშვილი, მერაბ ბერიძე .....</b>	<b>491</b>
ხარ- ფუძის შესახებ ქართულში	
Maia Kukchishvili, Merab Beridze .....	495
About the Root ხარ-[khar] in Georgian	
<b>მანანა ღარიბაშვილი.....</b>	<b>496</b>
ვერგილიუსის ბუკოლიკების მეოთხე ეკლოგა და ქრისტიანული ტრადიცია	
Manana Gharibashvili.....	501
Virgil's "Bucolics" Forth Eclogue and Christian Tradition	
<b>გურამ ყიფიანი.....</b>	<b>503</b>
წმინდა ნინოს ჯვრის სახელობის ტაძარი	
Guram Kipiani.....	512
St. Nino's Cross Temple (Setting and Structure)	
<b>ლელა შათირიშვილი .....</b>	<b>513</b>
ენობები IV საუკუნის სამი ბიზანტიელი მოღვაწის შესახებ	
Lela Shatirishvili.....	521
Evidences on the 4 <sup>th</sup> Century Three Byzantine Church Figures	

<b>ჯული შოშიაშვილი</b> .....	<b>522</b>
"მღვდლობისათვის" დიონისე არეოპაგელის თხზულებებში	
Juli Shoshiashvili .....	530
On Priesthood in the Works of Dionysius the Areopagite	
<b>დავით ჩხეიძე</b> .....	<b>531</b>
შუა საუკუნეების გამოძახილი თანამედროვე პოლიტიკაში: ბიზანტიური მეცდომა	
Davit Chkheidze.....	537
Echo of the Medieval Religious Wars in Modern Politics	
<b>მერაბ ძნელაძე, მაია იზორია</b> .....	<b>538</b>
თბილისის წმ. ორმოც სებასტიელ მოწამეთა ეკლესია	
Merab Dzneldze, Maia Izoria.....	551
Tbilisi St. Forty Sebastian Martyrs' Church	
<b>ლია წერეთელი</b> .....	<b>552</b>
"მხედრობასა შინა აღზრდილი"	
Lia Tsereteli .....	558
"Raised as a Warrior"	
<b>ეკა ჭყოიძე</b> .....	<b>559</b>
ქველმოქმედი ქალები ბიზანტიაში და ათონის ივერთა მონასტრის "სააღაპე წიგნის" მონაცემები მათზე	
Eka Tchkoidze .....	566
Female Donors in Byzantium and Iveron Monastery's (Mount Athos) "Synodikon Biblion" about them	
<b>ანა ხარანაული</b> .....	<b>567</b>
გელათის კატენებიანი ბიბლია და მისი ბერძნული პროტოტიპები	
Anna Kharanauli .....	591
The Gelati Catena Bible and Its Greek Prototypes	
<b>ქეთევან ჯერვალიძე, ნინო პეტრიაშვილი</b> .....	<b>592</b>
რამდენიმე ბიბლიური პასაჟის განმარტებისათვის გიორგი მერჩულის "გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში": სიბრძნე, დუმილი, ყრმა	
Ketevan Jervalidze, Nino Petriashvili.....	616
For the Interpretation of Several Biblical Passages from "The Life of Grigol Khandzteli" by Giorgi Merchule: "Wisdom", "Silence" and "Youth"	
<b>საძიებლები</b> .....	<b>618</b>

## თინა დოლიძე

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

### ორიგენე – ახალი შემეცნებითი სისტემის არქიტექტორი

ორიგენეს ბიბლიის ჰერმენევტიკისთვის უმთავრესია აზროვნების ორი განსხვავებული ტიპის – სარწმუნოებრივი მოწმობისა და ლოგიკურ-დისკურსიული მსჯელობის შეთანხმება. ეს მეცნიერული ბაზისი ღვთისმეტყველს უფლებას აძლევს, ბიბლიური ნარატივი ლოგიკურ-დისკურსიულ სტრუქტურაში გაიაზროს. ჭეშმარიტების ძიების საკუთარ მეთოდოლოგიას ორიგენე მოკლედ გადმოგვცემს მისი უმთავრესი თეორიული ნაშრომის – "საწყისთათვის" – წამდვარებულ შესავალში<sup>1</sup>:

"ამგვარად, ესენი<sup>2</sup> საწყისებად და საფუძვლებად ... უნდა გამოიყენოს ... ყველამ, ვისაც სურს, რომ ყოველივე ამისგან გონებით შექმნას [აზრთა] გარკვეული მსვლელობა და [აზრობრივი] სხეული. ასე რომ, მას შეუძლია, ცხადი და აუცილებელი დებულებებით თითოეული საკითხის შესახებ გამოიძიოს, თუ რა არის ის სინამდვილეში, და მაგალითებითა და მტკიცებულებებით მთლიანი ... სხეული შექმნას – როგორც იმით, რასაც წმინდა წერილში ჩასწვდა, ისე იმითაც, რასაც აზრთა თანმიმდევრობის ძიებითა და მათი სწორად მიმართვით მიაკვლია" .

ამ ტიპის აზროვნება ანალიზის, სინთეზისა და ანალოგიის ინტელექტუალურ მეთოდებს მიმართავს, რომლებიც – როგორც ამას სამართლიანად აცხადებს ქრისტიანობის დიდი ოპონენტი, პლატონიკოსი კელსუსი (II ს.) – ჯერ კიდევ ფილოსოფიური მსჯელობის საკუთრება იყო. ორიგენემ ბიბლიის ჰერმენევტიკა ამ ინტელექტუალური ხერხების გამოყენებით შექმნა,

<sup>1</sup> De princ., I praef. 10: Origenes. Vier Bücher von den Prinzipien, ed. H. Görgemanns, H. Karpp, Darmstadt, 1976, 16, 9-15 (99).

<sup>2</sup> იგულისხმება საეკლესიო რწმენის კანონები.

მაგრამ ისინი ახლებურად გამოიყენა, კერძოდ, მათი მეშვეობით დაამტკიცა, რომ ღვთის წვდომა კაცობრივ გონებას მხოლოდ რწმენით შეუძლია.

ალექსანდრიელი მოძღვარი მკვეთრად განაქიქებს აზროვნების იმ ტიპს, რომელიც მარტოოდენ ადამიანის ინტელექტს ეყრდნობა. მას სწამს, რომ კაცობრივ გონებას დამოუკიდებელივ არ შესწევს ძალა, შეიძინოს სწორი ცოდნა საღვთო ბუნების შესახებ. ორიგენეს ქრისტოცენტრულ ნააზრევში სწორი აზრის მოპოვება ღვთის შესახებ თავად ღვთის მადლით ხდება და აგრეთვე იმ ნდობით, რომელსაც ადამიანი ღმერთს იესო ქრისტესადმი რწმენით უცხადებს: იგია საღვთო მადლი და ღვთის ერთადერთი ჭეშმარიტება, გაცხადებული ისტორიაში და, შესაბამისად, წმინდა წერილში, რომელიც კაცობრიობის ცხოვრებისა და ხსნის მარადიული წიგნია<sup>3</sup>. ორიგენე მკვეთრად ემიჯნება პლატონიკოსთა ელიტურ ინტელექტუალიზმს, რომლის მიხედვითაც ფილოსოფოსმა თუნდაც რომ შეძლოს ღვთის შესახებ ზეადმატებელი იდეის მოპოვება, ის ვერასდროს გააცნობს მის მონაპოვარს კაცობრიობის უმეტესობას<sup>4</sup>. პლატონიზმის ამ პოზიციას ალექსანდრიელი ღვთისმეტყველი ქრისტიანული უწყების საყოველთაო ხასიათს უპირისპირებს.

ორიგენეს სწამდა, რომ რწმენისმიერი აზროვნების მოდელს უპირატესობა ჰქონდა ფილოსოფიური დისკურსის წინაშე, რომელიც მსჯელობის წანამძღვრად არ იღებს რწმენით მოწმობას და ამიტომ იმთავითვე უსასრულო კვლევაში ჩაფლვის საფრთხის წინაშე დგას<sup>5</sup>. ამგვარი მსჯელობა ხელს არ უშლის ორიგენეს, მემკვიდრეობითობა დაინახოს ბერძნულ ფილოსოფიასა და ქრისტიანულ აზროვნებას შორის, და ბერძნული ფილოსოფია ქრისტიანობის ჭეშმარიტი ფილოსოფიისათვის მზადებად მიიჩნიოს<sup>6</sup>. კლიმენტ ალექსანდრიელის კვალზე, ის გამოთქვამს აზრს, რომ ქრისტიანობამ

<sup>3</sup> მარადიულობის ესქატოლოგიური ასპექტი, უწინარეს ყოვლისა, სახარებას ეხება. ორიგენეს მკვლევარი მამალიკოსი ორიგენესეული 'მარადიული სახარების' ცნებას იოანეს გამოცხადების 14, 6 უკავშირებს. მამალიკოსი სავსებით მართალია, როცა ქრისტოლოგიურ და ბიბლიურ ასპექტებს შორის განუყოფელ კავშირზე მიუთითებს. ორიგენეს სწამს, – წერს მამალიკოსი, – რომ "ღმერთი განცხადდა კაცის ფორმით, რათა ადამიანებმა ის გარკვეულ დონემდე შეიმეცნონ. ამავე მიზნით განუცხადა მან ადამიანებს მისი სიბრძნე კაცობრივი სიტყვების ფორმით ... ამგვარად, მსგავსად იმისა, როგორც იესოს სიკვდილით არ გარდაცვლილა ქრისტე, ასე ჭვენიერების დასრულება არ იწვევს სახარების გარდასვლას, რომელიც იესო ქრისტემ მთელ ქვეყანას უქადაგა... მარადიული სახარება არის სულიერი შინაარსი, რომელიც წერილში ნაწილობრივ დაფარულია: ის არის ღვთის სიბრძნე, 'უხილავი საგნები'" (იხ. P. Tzamalikos, Origen: Philosophy of History and Eschatology, Supplements to Vigiliae Christianae, v. 85, Leiden, Boston, 2007, 96, აგრეთვე 106).

<sup>4</sup> C.Cels. 7. 42: Die Griechischen Christlichen Schriftsteller der ersten drei Jahrhunderten (GCS), Origenes. Werke II, Leipzig, 1899, ed. P. Koetschau; შდრ. Tim. 28c.

<sup>5</sup> Origenes, Herder Comm. in Rom. 2,14: Commentarii in Epistulam ad Romanos, hrsg., eingl. und übers. von Th. Heither, Fontes Christiani, Freiburg, 1992, 2/1, 318, 21-322, 13.

<sup>6</sup> Th. Kobusch, Christliche Philosophie. Die Entdeckung der Subjektivität, Darmstadt, 2006, 32-33.

პლატონური მოძღვრება კრიტიკული რევიზიით უნდა გამოიყენოს<sup>7</sup>. როცა ალექსანდრიელი მეცნიერი ბიბლიის ღვთისმეტყველებას ბერძნულ ფილოსოფიას უპირისპირებს, ის ქმნის ფილოსოფოსობის ალტერნატიულ მოდელს, რომლის ფარგლებშიც ცდილობს, პლატონური ფილოსოფია შეუთვისოს ქრისტიანული რელიგიური აზროვნების კანონს<sup>8</sup>. ორიგენეს ბიბლიის ჰერმენევტიკა ადამიანის თავისუფალი ნების იდეითაა გამსჭვალული. ამ თეორიის მიხედვით, საღვთო ჭეშმარიტების განცხადება ბიბლიაში ყოველ ადამიანს ანიჭებს შესაძლებლობას, გამოიწრთოს თავი წმინდა წერილში დაფარული საღვთო აზრის ამოსაკითხავად. კითხვის პროცესი ასეთი ინტენციის ადამიანს თანდათანობით ათავისუფლებს ვნებათა მონობისგან და გზას უხსნის მის ზრდას ჭეშმარიტ სულიერ თავისუფლებაში<sup>9</sup>. ორიგენეს ბიბლიის თეოლოგიის ცენტრალურ კონცეფტს წარმოადგენს ქრისტეს ბაძვაში განხორციელებული ზნეობრივი აღსვლა, რაც იმაში ვლინდება, რომ ადამიანი თავისი ცხოვრების ძირითად დანიშნულებას სიკეთის ქმნაში ხედავს. თუ როგორ უნდა შეესაბამოს ქრისტიანული ქმედება განკაცებული სიტყვის მოძღვრებას, ამას, ორიგენეს თანახმად, ვიგებთ, მაგალითად, მათეს სახარებიდან. მასში მოთხრობილია სვიმონ კეთროვნის სახლში მომხდარი ამბავი, თუ როგორ მივიდა იესოსთან დედაკაცი, მიიტანა ალბასტრით ძვირფასი ნელსაცხებელი და მას, სუფრასთან მჯდომს, თავზე დაასხა

<sup>7</sup> I. Ramelli, Alexander of Aphrodisias: A Source of Origen's Philosophy?: Philosophie Antique. Problèmes, Renaissances, Usages, 14, 2014, 237-289, კერძოდ, 242. ორიგენეს ანტიპლატონიზმს რამელი ხედავს ორიგენეს ინტენციაში, ჩამოაყალიბოს ორთოდოქსული ქრისტიანული პლატონიზმი, წარმართული და ენოსტიკური პლატონიზმის საპირისპიროდ (იქვე, 242).

<sup>8</sup> ავგუსტინეს ცნობილ სიტყვებს პლატონიკოსების შესახებ: "არავინ მოგვიახლოვდა მეტად, ვიდრე ისინი" (Nulli nobis quam isti proprius accesserunt (De civ. Dei, VIII, 5), Augustinus, De civitate Dei, ed. B. Dombart-A.Kalb, I, Lipsiae, 1993, 327, 1-2) ალექსანდრიულ ღვთისმეტყველებასთან და, სახელდობრ, ორიგენესთან მიეყვართ. ორიგენეს მეტეტიკურ (ფილოსოფიურ) აზროვნების მეთოდზე, როგორც მისი აზროვნების ფუნდამენტურ მახასიათებელზე იხ., მაგ., L. Perrone, La parrhêsia di Mosé: l'argomentazione di Origene nel Trattato sul libero arbitrio e il metodo delle "quaestiones et responsiones": L. Perrone (ed.), Il cuore indurito del Faraone. Origene e il problema del libero arbitrio, Origeni 3, Testi e Studi del CISEC, Bologna, 1992, 31-64; I. Ramelli, Patristic Exegesis. Relevance to Contemporary Biblical Hermeneutics: Religion and Theology 22 (2015), 100-132, კერძოდ, 120-127. ორიგენეს რწმენაზე დაფუძნებული მეცნიერული აზროვნების მეთოდი, ფილოსოფიური ტრადიციისგან დისტანცირების ნიშნით, ანუ როგორც პრინციპულად ახალი აზროვნების ტიპი, განხილულია ჩემს წერილში: T. Dolidze, Der Glaube als Erkenntnis bei Origenes: Der Kommentar in Antike und Mittelalter. Neue Beiträge zu seiner Erforschung, hrsg. von W. Geerlings und C. Schulze (Clavis commentariorum antiquitatis et medii aevi 3), Leiden, 2004, 185-211.

<sup>9</sup> თავისუფალ ნებაზე, როგორც ორიგენეს ჰერმენევტიკის საგანზე, და ბიბლიურ ჰერმენევტიკაზე, როგორც თავისუფალი ნების საგანზე იხ. T. Dolidze, Der freie Wille in der Hermeneutik des Origenes: Die Idee der Freiheit in Philosophie und Sozialtheorie, hrsg. von M. Beriashvili, B. Moysisch, unter Mitwirkung von H. Grabst, Saarbrücken, 2010, 87-111. იხ. აგრეთვე L. Perrone, Il cuore indurito del Faraone. Origene e il problema del libero arbitrio (იხ. ზემოთ, შენ. 8).



(Mt 26. 6-10). ორიგენეს ალეგორიული თარგმანებით, ძვირფასი ნელსაცხე-ბელი ადამიანის კეთილი საქმეა (opus bonum), რომლითაც ის იესო-ლოგოსის თავს განაპოხებს, ე.ი. საღვთო სიტყვას პირადი ქმედებით პასუხობს<sup>10</sup>. ფსალმუნთა წიგნზე შედგენილი ახლად აღმოჩენილი ჰომილიების კრებულში, 74-ე ფსალმუნის განმარტებისას, ორიგენე აცხადებს, რომ ქრისტეს სწავლება სრულიად თვითმყოფადი, ამოუწურავი და მარადიულია, და მას კეთილქმედების ნიშანთვისებით უპირისპირებს გრამატიკოსისა თუ ფილოსოფოსის მჭვრეტელობით ინტელექტუალიზმს: ადიდო უფალი – ნიშნავს "ბოროტთა რქების დამტვერვას" და "მართლის ღირსების ამალვებას" (Ps. 74, 11)<sup>11</sup>. პერონე მართებულად შენიშნავს, რომ ორიგენე ქრისტიანული საკრალური ეთიკის პრიორიტეტად მიიჩნევს საღვთო სიტყვის წვდომასა და კაცობრივ მოქმედებას შორის განუყოფელ ურთიერთკავშირს. ეს კავშირი პრაქტიკული მიზანმიმართულებისაა; მას კაცობრიობის ზნეობრივ გარდასახვამდე მივყავართ, რითაც კაცობრიობა "ლოგოსის დასაბამიერ ენერგიას პასუხობს"<sup>12</sup>. 'მეტაფიზიკა როგორც ცხოვრების ფორმა' ანუ 'პრაქტიკული მეტაფიზიკა' – ასე უწოდებს კობუმში ანტიკური ფილოსოფიის theoria და praxis-ის ამ ახლებურ გააზრებას ქრისტიანულ ღვთისმეტყველებაში და მის დაფუძნებას დიდ ალექსანდრიელ ღვთისმეტყველს მიაწერს<sup>13</sup>. მართლაც, ბიბლიის ორიგენესეული თარგმანება აქტიური გონების იდეაზეა აგებული, რომელიც საღვთო წერილში დაფარულ სულიერ ში-

<sup>10</sup> Comm. in Rom. 2, 5: Th. Heither = Fontes Christiani 2/1, 190, 20-192,2.

<sup>11</sup> Origenes. Die neuen Psalmenhomilien. Eine kritische Edition des Codex Monacensis Graecus 314, hrsg. von L. Perrone in Zusammenarbeit mit M. Molin Pradel, E. Prinzevalli und A. Cacciari (GCS, NF 19), Berlin, 2015, 279, 1-21; იხ. აგრეთვე L. Perrone, Doctrinal Traditions and Cultural Heritage in the Newly Discovered Homilies of Origen on the Psalms (Cod.Mon.Graec. 314): Phasis. Greek and Roman Studies. Ivane Javakishvili Tbilisi State University, Institute of Classical, Byzantine and Modern Greek Studies, 18, Tbilisi, 2015, 191-212, კერძოდ, 192-3.

<sup>12</sup> მოწოდებას ქმედებისკენ, როგორც ქრისტიანული ჭეშმარიტების კრიტერიუმს, პერონე ადრეულ აპოლოგეტებთანაც ადასტურებს. როგორც ის შენიშნავს, ორიგენემ თეორიული ასპექტი დაამუშავა იმ "პრაქტიკული შენიშვნისა", რომელიც აპოლოგეტებთან გვხვდება. უფრო ზუსტად, მან განავითარა "ეს შენიშვნა" იმ მიმართულებით, რომ ქრისტიანული პრაქტიკა გაიგო როგორც "ლოგოსის მოწმობა" ისტორიაში (L. Perrone, Christianity as "Practice" in Origen's Contra Celsum: Origeniana Nona. Origen and the Religious Practice of his Time. Papers of the 9<sup>th</sup> International Origen Congress Pécs, Hungary, 29 August – 2 September 2005, ed. by G. Heidl, R. Somos (in collaboration with C. Németh), Leuven, 2009, 293-317; იხ. 294 და შენ. 4; 295-299, 316.

<sup>13</sup> ამ თეზისის სისტემატიზება გვხვდება თ. კობუმის როგორც ნაშრომებში: Origenes, der Initiator der christlichen Philosophie: Origenes. Vir ecclesiasticus, hrsg. von W. Geerlings, H. König, Bonn, 1995, 27-44; Die Begründung eines neuen Metaphysiktyps durch Origenes: Origeniana Septima. Origenes in den Auseinandersetzungen des 4. Jahrhunderts, hrsg. von W.A. Bienert, U. Kühneweg, Leuven, 1999, 61-68; Metaphysik als Lebensform. Zur Idee einer praktischen Metaphysik: Die Metaphysik und das Gute, hrsg. von W. Goris, Bibliotheka 2, Leuven, 1999, 29-56; Metaphysik als Lebensform bei Gregor von Nyssa: Homilies on the Beatitudes, ed. H. R. Drobner and A. Viciano, Leiden, 2000, 467-485; Christliche Philosophie. Die Entdeckung der Subjektivität, Darmstadt, 2006, 36, და სხვ.

ნაარსს იმის მიზნით ეძიებს, რათა, რაც იქ მაცხოვრებლადაა მოსწავებელი, პრაქტიკულ ცხოვრებაში დაამკვიდროს და განავრცოს.

ორიგენეს თანახმად, წმინდა წერილი ღვთის სიტყვის, ე.ი. სამობით ერთი ღვთაების გაცხადებაა, რაც მიზნად ისახავს დაცემული ადამიანის აღდგენას. ორიგენე არაერთხელ იმეორებს, რომ ის ღვთის ძალით არის დაწერილი. ტექსტის უნიკალური ხასიათი და დანიშნულება ჭეშმარიტების კატეგორიისადმი განსაკუთრებით ფაქიზ მიდგომას საჭიროებს. ალექსანდრიელი მოძღვრის ჰოლისტიკური ხედვა პარალელს ავლებს, ერთი მხრივ, გრძნობად ხილულ სამყაროს, ქრისტეს კაცობრივ ბუნებასა და წერილის სიტყვასიტყვით მნიშვნელობას, მეორე მხრივ კი, გონითსაწვდომ რეალობას, ქრისტეს საღვთო ბუნებას და წერილის სულიერებას შორის. შეწყვილებულთა გრძნობად-აღქმადი წევრები აუცილებელია გონითშესაცნობთა საწვდომად. ალეგორიის ისტორიის განხილვისას, რამელი საგანგებოდ აღნიშნავს ორიგენეს ალეგორიული თარგმანების ამ თავისებურებას. დიდი ალექსანდრიელისთვის, რომელიც ამაში ფილონსა და მის ქრისტიან მიმდევრებს მიჰყვება, წმ. წერილის თარგმანების საყრდენი ისტორიული რეალობაა, რაც, ამასთანავე, არის არსებითი განმასხვავებელი ნიშანი, ბიბლიის ებრაულ-ქრისტიანულ ხაზსა და წარმართულ (სტოურ, შუა პლატონურ და ნეოპლატონურ) ალეგორიზაციას შორის. კვლავ ფილონისა და საღვთო წერილის ადრექრისტიანული ეგზეგეზის კვალდაკვალ, ორიგენე ამტკიცებს, რომ ორივე აღთქმა უხვადაა გაჯერებული ისეთი ადგილებით, რომლებშიც ღვთაებრივი განგებულება მკითხველს ტექსტის ენობრივი სხეულებრიობის დაძლევისა და გონებით მისი სულიერი შინაარსის განჭვრეტისაკენ უბიძგებს<sup>14</sup>. მეორე მხრივ, მხედველობაში მისაღებია ისიც, რასაც ჯერ კიდევ ლუბაკი წერდა, რომ საღვთო წერილის ორიგენესეული სულიერი განმარტება სავსებით ორიგინალურია, თუ მას ფილონის მორალურ ალეგორეზას შევადარებთ. ამისი ფუნდამენტური მიზეზი ისტორიაში ღვთის შემოსვლის განგებულებაა, რის გამოც ორიგენე ძველი აღთქმის რჯულსა და საკრალურ ისტორიას მხოლოდ და მხოლოდ იესო ქრისტეს განკაცების პერსპექტივიდან უყურებს<sup>15</sup>.

ორიგენეს ჰერმენევტიკაში ისტორიულ მოვლენათა ალეგორიულ-სიმბოლური გააზრება ჭეშმარიტებას ორ სიბრტყეზე ხედავს, ანუ დაფარულ სულიერ შინაარსთან ერთად – მის გრძნობად, გარე ხატშიც. თუმცა ისტორი-

<sup>14</sup> I. Ramelli, The Philosophical Stance of Allegory in Stoicism and its Reception in Platonism, Pagan and Christian. Origen in Dialogue with the Stoics and Plato: International Journal of the Classical Tradition, 18, no. 3 (September 2011), 335-371, კერძოდ, 345-7 და 354; მისივე, Patristic Exegesis. Relevance to Contemporary Biblical Hermeneutics (2015), 108-9.

<sup>15</sup> H. de Lubac, Geist aus der Geschichte. Das Schriftverständnis des Origenes, übers. und engl. von H. U. von Baltasar, Einsiedeln, 1968, 196-7.

ულ და გრძნობად რეალობას იმდენად ენიჭება ჭეშმარიტების სტატუსი, რამდენადაც ამქვეყნიური ჭეშმარიტება საღვთო განგებულების ნიშანია. ორიგენეს ეგზეგეტიკურ სტრატეგიაში ისტორიული ნარატივი და პნევმატური ჭეშმარიტება ერთმანეთს უმეტესად ემთხვევა, თუმცა იმ ადგილებში, რომლებშიც ორივე სიმართლედ ვერ ჩაითვლება, ორიგენეს აზრით, უპირატესობა სულიერ ჭეშმარიტებას უნდა მიენიჭოს, რადგან ის, რიგ შემთხვევებში, სიტყვიერ 'სიცრუეშია' დაფარული. მსგავსი მეთოდური მიდგომა სემანტიკურად მეზობელ კონტექსტებში შემავალი ცალკეული სიტყვებისა და პასაჟების საფუძვლიან ინტრატექსტობრივ ფილოლოგიურ და კონცეფციურ ანალიზს მოითხოვს. უნდა შეკავშირდეს ის სტრიქონები, რომლებშიც მკითხველი შესაბამისი სულიერი შინაარსის ფრაგმენტებს მიაკვლევს, რის შედეგადაც წერილის სულიერი შინაარსი ერთ სულიერ მთლიანობად წარმოჩნდება<sup>16</sup>. ინტრატექსტობრიობის პრინციპი სახეზეა უკვე რაბინულ და ალექსანდრიულ ტრადიციაში<sup>17</sup>. მაგრამ ორიგენეს სწრაფვა ტრანსცენდენტურისკენ ბევრად უფრო თანმიმდევრულია, ვიდრე მისი წინამორბედებისა, რის გამოც მეტაფიზიკური შრე, როგორც წერილის ხილული ენობრივი სხეულის მიღმა არსებული მეტატექსტი, მასთან გამოკვეთილად სისტემურ ფორმას გვიჩვენებს. და მაინც, წერილის სულიერი კითხვა რეციპიენტის მხრიდან საკრალური აზრის მხოლოდ უზოგადეს ამოკითხვას გულისხმობს. საღვთო განგებულების შეცნობა, გამოწვლილვითი ტექსტობრივი კვლევისდა მიუხედავად, მოცემულ ეონში შეუძლებელია<sup>18</sup>. წერილის საფარი ადამის მოდგმის საცხოვნებლად არის შექმნილი. უხმობს რა 'წერილის საძიებლად', ის ადამიანს საკუთარი თავის, როგორც ღვთის ხატის, ძიებისკენ მოუწოდებს და ბაძვის ხანგრძლივ ღვაწლში მას მეორედ დაცემისგან იფარავს<sup>19</sup>.

ორიგენეს ბიბლიის ჰერმენევტიკა ყველაზე მეტად ბიბლიის პავლესეული თარგმანებითაა შთაგონებული. პავლე მოციქულის ტიპოლოგიურ განმარტებაში ჰპოვებს ის ალევორიული მეთოდის გამართლებას და მისი

<sup>16</sup> წერილის სხეულსა და სულს შორის არსებულ ამ დიალექტიკურ ურთიერთიმართებაზე დაწერილებით De princ. IV 3, 1-5: Görgemanns, Karpp, 323, 3-331, 15 (730-746); IV 2, 9: 321, 3-323,2 (726-730; აგრეთვე 727, შენ. 33); იხ. აგრეთვე Comm in Joh. X 5: GCS, Origenes, IV, 175, 4-176, 2, ed. E. Preuschen.

<sup>17</sup> I. Ramelli, Patristic Exegesis. Relevance to Contemporary Biblical Hermeneutics, 120 (მოკვავს Strom. 7.16.96, 1-4); უფრო ვრცლად წერილის სულიერ მთლიანობაზე, 116-20; იხ. აგრეთვე I. Ramelli, The Philosophical Stance of Allegory, 349.

<sup>18</sup> იუდაისტურ-პალესტინური თვალსაზრისისგან განსხვავებით, ორიგენე ამტკიცებს, რომ შესაძლოა მხოლოდ ამა თუ იმ პასაჟის ძირითადი აზრის ჩაჭერა, მაგრამ არა დეტალური განმარტება; უკანასკნელი მუდამ კაცობრივი გაგების მიღმა რჩება იხ. De princ. IV 3,14: Görgemanns, Karpp, 345, 5-347,4 (774-778); Comm. in Joh. 10. 5: Preuschen, 175,11.

<sup>19</sup> De princ. III 1, 17: Görgemanns, Karpp 325, 14- 229, 7 (522 -529).

მუდმივი ციტირებით საგანგებოდ ასაჩინოებს კიდევ რეცეფციის ფაქტს. უწინარეს ყოვლისა, დიდი მოციქულისგან მომდინარეობს ალექსანდრიელი სწავლულის აზრი, რომ ჭეშმარიტების მიფარვა ბიბლიაში საღვთო თხრობის მაცხოვრებელი ფორმაა. ეს საფარი საფეხურეობრივად მიიწევს 'აჩრდილიდან აჩრდილისკენ' და ნათელს ჰპოვებს ჯერ ლოგოსის განკაცებასა და აღდგომაში, ხოლო შემდეგ ღმერთთან კაცობრიობის ესქატოლოგიურ ერთობაში<sup>20</sup>. ორიგენემდე რაბინ და ებრაელ-ელინისტ ეგზეგეტებს ძველი აღთქმის წინასწარმეტყველება საღვთო განზრახვის ოდენ ფონეტიკურ გაფორმებად მიაჩნდათ. ორიგენე მნიშვნელოვნად მისდევს ამ ტრადიციას და სწამს, რომ ძველი აღთქმის წინასწარმეტყველება, ისევე როგორც მოციქულთა ქადაგება, საღვთო რიგის ენობრივ მონაცემს მიეკუთვნება. განსხვავებას ქმნის მხოლოდ მკითხველის აღქმის უნარი – სიტყვასითტყვეთი, ეთიკური თუ სულიერი. ებრაულ-ელინისტური ტრადიციისგან განსხვავებით, ორიგენე ბიბლიის ენაში ორ პრინციპულად განსხვავებული წარმომავლობის ფენომენს ხედავს, ერთი მხრივ, ადამიანის შეზღუდულ ენობრივ არტიკულაციას, რაც მისთვის ფილოსოფიური ტრადიციიდან იყო ცნობილი, და, მეორე მხრივ, მის შინაგან ენერგეტიკულ მხარეს, რომელიც, მისი აზრით, არ ეკუთვნის კაცობრივ გამოგონებას, არამედ ის ღვთაების ძალმოსილების არეა<sup>21</sup>. მის პოზიციას ბიბლიის ენის მიმართ ორიგენე ხშირად გამოხატავს პავლე მოციქულის 2 კორ. 4,7-ის სიტყვებით, რომლებსაც ის ბიბლიის ტექსტის ჰერმენევტიკას უსადაგებს: "ხოლო ჩვენ ეს საუნჯე თიხის ჭურჭლებით დაგვაქვს, რათა ამ ძალის სიდიადე ღმერთისა იყოს და არა ჩვენი"<sup>22</sup>.

რწმენა იმისა, რომ წმინდა წერილის კაცობრივად მოფიქრებულ ენაში ღვთაებრივი იმპლიკაცია არსებობს, ნათლად იკვეთება ბიბლიურ საკუთარ სახელთა ბუნებაზე მსჯელობისას. თხზულებაში "კელსუსის წინააღმდეგ" – ის ჯერ აღმოსავლური სახელის მაგიასა და სახელდების ბუნებრივი წარმომავლობის სტოურ თვალსაზრისს იხსენებს, შემდეგ კი ბიბლიურ სახელთა მიმართ აცხადებს, რომ ისინიც, მისი აზრით, არ უნდა იყოს კონვენციური ბუნების (θεσει), არამედ სამყაროს შემოქმედთან დაკავშირებულ რაღაც საიდუმლო ღვთისმეტყველებას (θεολογία ἀπίρητος) უნდა ასახავდეს<sup>23</sup>.

<sup>20</sup> De princ. IV 1, 6; Görgemanns, Karpp, 301, 8-302, 10 (686-688); შდრ. Hebr. 8:5; 10:1; Col. 2:17; 2; Cor. 3:13-16. ცხადია, სახარებაც მარადიული სახარების აჩრდილია.

<sup>21</sup> შდრ. De princ. IV 3,14; Görgemanns, Karpp, 345, 5-347,4 (774-778).

<sup>22</sup> ბიბლია. საქართველოს საპატრიარქო, თბ., 1989, 1149.

<sup>23</sup> C. Cels.1.24 (Koetschau). მართებულად მიმაჩნია სომოსის აზრი, რომ აუცილებელია განვასხვავოთ ორიგენეს სახელის მაგია მისი ზოგადი თეორიისგან ჩვეულებრივი სიტყვების ბუნების შესახებ, აგრეთვე, რომ ორიგენეს პოზიცია არსებითად განსხვავდება სტოური თეო-

წერილის პნევმატურ კითხვას ალექსანდრიელი ღვთისმეტყველი ზიარების საიდუმლოს უდარებს. როცა ის ამბობს, რომ ამგვარი კითხვა შესაწირია, უნდა ვიგულისხმოთ კონოტაცია ქრისტეს საიდუმლოს ლიტურგიკულ და ესქატოლოგიურ ასპექტებთან, შესაბამისად, ადამიანის ესქატოლოგიურ განმლრთობის საიდუმლოსთან, რადგან წერილი არის ქრისტე-ლოგოსის მუდმივი განსხეულება ადამიანის სიტყვაში<sup>24</sup>.

წერილის საფარის კონცეფტი ორიგენესთვის ძლიერი არგუმენტია პლატონიკოს კელსუსის კრიტიკული შენიშვნის წინააღმდეგ, რომ ქრისტიანული უწყების, კერძოდ კი, ახალი აღთქმის ენა რიტორიკულად დაუხვეწავია. კელსუსის განცხადებით, ის, რაც ღირსშესანიშნავია ქრისტეს უწყებაში, არა მარტო იმეორებს ფილოსოფიაში ცნობილ იდეებს, არამედ ეს ჭეშმარიტებები ფილოსოფოსთა მიერ ბევრად უკეთ არის გამოთქმული, ვიდრე მათ სახარების მარტივი, სასაუბრო ენა გამოთქვამს. პლატონიკოსის კრიტიკის საპასუხოდ ორიგენე ქრისტიანული უწყების ენობრივ სიმარტივეს მისი საყოველთაო დანიშნულებით ხსნის, რომლის მიზანია არა გონებით გამორჩეულთა ინტელექტუალური წვრთნა, არამედ სხვადასხვა გონებრივი მონაცემის ადამიანთა ზნეობრივი დახმარება. ის ურჩევს ფილოსოფოს ოპონენტებს, ზეაიმაღლონ სული იმის შესამეცნებლად, რაც საიდუმლოდაა ნათქვამი რწმენის სიტყვებში, რომლებიც მათ მარტივად ეჩვენებათ. პავლე მოციქულის მოხმობით<sup>25</sup> ორიგენე აცხადებს, რომ ქრისტიანული სიტყვა 'სულისა და ძალის გამოცხადებით' იბადება და 'არა კაცობრივი სიბრძნის დამარწმუნებელი სიტყვებით', რომელსაც პლატონის მსგავს ბერძენ ინტელექტუალთა ნაწრთობი ენა გვთავაზობს<sup>26</sup>. ამ გზით ალექსანდრიელ ღვთისმეტყველს, შეფასების მომენტი გამონათქვამის ტრადიციული რიტორიკული ასპექტიდან სიტყვის შინაგან ინტენსივობაზე გადააქვს. მისი

რიისგან. იხ. R. Somos, *Is the Handmaid Stoic or Middle Platonic? Some Comments on Origen's Use of Logic: Studia Patristica*, LVI, Leuven, 2013, 29-40, კერძოდ, 32.

<sup>24</sup> იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გავიგოთ ეს განსხეულება, აგრეთვე ორიგენეს მიმართებისთვის ტრადიციასთან იხ. I. Ramelli, *Origene: la scrittura come incarnazione di Cristo-Logos e la sua interpretazione: Rivelazione e Storia*, ed. E. Innocenti, S. Scuro, Roma 1-8 marzo 2014, Rome 2014, 154-172.

<sup>25</sup> 1 Cor. 2, 4.

<sup>26</sup> კლიმენტ ალექსანდრიელიც, ბერძენებთან პაექრობისას, წარმართთა ენის გარეგნულ მშვენიერებას, როგორც უკმ მეტყველებას, წინასწარმეტყველთა მარტივი ენის ღვთით მოვლენილ ძალას უპირისპირებს (Clement of Alexandria, *Exhortation to the Greeks*, IV, ed. G.W. Butterworth, LCL 92, Cambridge, 1999, 130-2). ორიგენემ კლიმენტ ალექსანდრიელისგან გაიზიარა ის იდეაც, რომ ღმერთი მხოლოდ წმ. წერილის სიღრმისეული კითხვით შეიცნობა და ალეგორიზება დაცემული კაცობრიობის ხსნას ემსახურება. იხ. M. Harl, *Le langage de l'expérience religieuse chez les pères grecs: M. Harl, Le Déchiffrement du Sens. Études sur l'hermeneutique chrétienne d' Origène à Grégoire de Nyse*, Collection des Études Augustiniennes. Serie Antiquité 135 (Paris, 1993), 29-58, კერძოდ, 34-35.

აზრით, თუმცა ფილოსოფიისა და ქრისტიანული მოძღვრების დებულებები შეიძლება ემთხვეოდეს ერთმანეთს, ფილოსოფიისა და ქრისტიანული უწყების ენა ორი სხვადასხვა ძალისა და შემადგენლობის ენაა. ადამიანის ენობრივი რეფერენცია, თავისთავად, არ არის ბუნებით თვითმკმარი. ის შეიძლება მართალი და დამარწმუნებელი იყოს, მაგრამ ადამიანებზე მხოლოდ მაშინ მოახდენს გავლენას, როცა ღვთის ძალითა და სულიწმიდის მობერვით იქნება წარმოთქმული<sup>27</sup>. თუ ორიგენეს ამ აზრს მეტაფიზიკური ტერმინოლოგიით გამოვხატავთ, შეიძლება ვთქვათ, რომ ტრანსცენდენტური საღვთო ძალის დავანებისას ადამიანის ენაში, უკანასკნელი ერთდროულად საღვთო სიბრძნის ტრანსცენდენტურ და იმანენტურ არედ გადაიქცევა. ალექსანდრიელი ღვთისმეტყველის მიერ ჩამოყალიბებულმა ბიბლიის ჰერმენევტიკამ და რწმენის მეცნიერულმა გადმოცემამ მისცა მას საშუალება, გაეშვალეზინა შემეცნებითი ანტინომია, რომლის მიხედვითაც: ის, რაც არ შეიმეცნება, შეიმეცნება – ოღონდ არასრულად შეიმეცნება – და ის, რაც არ შეიძლება გამოითქვას, გამოითქმის – ოღონდ არასრულად გამოითქმის. ამ ეპისტემურ სტრუქტურას ეფუძნება ორიგენეს მიერ შექმნილი ქრისტიანობის ენის მეტაფიზიკა და, ზოგადად, ქრისტიანობის მისეული მეტაფიზიკა.

მას შემდეგ, რაც განვიხილეთ ზოგადი კონცეფციური საფუძველი, მოკლედ შევხები ორიგენეს ბიბლიის თეოლოგიასთან დაკავშირებულ რამდენიმე თემას, რომლებიც მისეული ჰერმენევტიკის ტექნიკურ მხარეს ასახინოებენ. ესენია: პარადოქსი და ომონიმია, დანაწევრება და პერიგრაფია, ენობრივი მიმესისი ბიბლიის ეგზეგეტიკაში:

*(ა) პარადოქსი ნათქვამსა და ნაგულისხმევს შორის და ომონიმია, როგორც მისი დაძლევის საშუალება*

კარგადაა ცნობილი, რომ საღვთო წერილის ენობრივი ნიუანსების ანალიზისას, ორიგენე ფართოდ მიმართავდა ბერძენ ფილოსოფოსთა და გრამატიკოსთა მიერ შექმნილ ინტელექტუალურ ტერმინოლოგიურ აპარატს. ომონიმია ერთ-ერთი ამ ცნებათაგანია, უფრო ზუსტად, მათ შორის უმნიშვნელოვანესი, რადგან ორიგენესთან ის ბიბლიის ენის დაფარული ბუნების ამხსნელია და იმისკენა მიმართული, რომ გრძნობად ენობრივ გამონათქვამსა და მის პნევმატურ განზომილებას შორის არსებული პარადოქსი დაძლიოს<sup>28</sup>.

ტრადიციული ლოგიკური და გრამატიკული მნიშვნელობით ომონიმია გულისხმობს, ორ ან მეტ საგანს, რომელსაც ერთი და იგივე სახელი აქვს,

<sup>27</sup> C. Cel. 6,2: 71,5-72,13 (Koetschau).

<sup>28</sup> De princ. IV 3,5: Görgemanns, Karpp, 331, 5-8 (746), რომელშიც ორიგენე ერთნაირი სიტყვების (ἀπὸ τῶν ἰσῶων φωνῶν) ძიებაზე მიუთითებს, როგორც ბიბლიურ ტექსტთა პარადოქსების დაძლევის მეთოდზე და ჭეშმარიტი, პნევმატური შინაარსის გამოვლენაზე.

მაგრამ საგნები ერთიმეორისგან არსების მიხედვით სხვაობენ. მოვიყვან მაგალითს არისტოტელეს "კატეგორიებიდან": რეალური ადამიანი და მისი გამოსახულება, ორივე ომონიმურად ცოცხალ არსებად იწოდება. ერთი – ნამდვილად ცოცხალი არსებაა, ხოლო მეორე – ასეთად იწოდება მასთან გარეგნული მსგავსებით. ორიგენე "რომაელთა მიმართ ეპისტოლის განმარტებაში" წერს: ისრაელი ომონიმურად ითქმის როგორც დედამიწაზე არსებული ქალაქის მიმართ, ისე ზეციური იერუსალიმის ანუ სამოთხის მიმართ; აგრეთვე ადამიანი ითქმის როგორც იმ ადამიანის მიმართ, რომელსაც ვნებები მართავს, ისე სულიერი ადამიანის მიმართ, რომელიც გონებით ხელმძღვანელობს. წინადაცვეთა არსებობს ხორციელი და სულიერი და ა.შ. ზემოხსენებულ მაგალითებში წინ იწევს სხვაობის ასპექტი ომონიმიაში. მაგრამ ორიგენესთან უხვად ვხვდებით ისეთ მაგალითებსაც, როცა ომონიმური სიტყვა აღნიშნულ საგნებს შორის მსგავსებაზე მიგვითითებს<sup>29</sup>. "იოანეს სახარების განმარტებაში" ალექსანდრიელი თეოლოგი განიხილავს სიტყვებს 'ნათელი' და 'ზნელი'<sup>30</sup>. სიტყვა 'ნათელს' ვამბობთ, – წერს ორიგენე, – როგორც ღვთის მიმართ, რომელიც ჭეშმარიტი ნათელია, ისე გრძნობადალქმადი ნათლის მიმართაც, რომელიც არ არის ჭეშმარიტი, მაგრამ არც ცრუა, არამედ მას ნათლად გონით საწვდომ ნათელთან ანალოგიით სახელვდებთ. ამავე ანალოგიის ძალით ითქმის ჭეშმარიტ ნათელთან ზიარებულ ადამიანზეც, რომ ის ნათელია. ონტოლოგიურ სხვაობასა და მსგავსებას განიხილავს ორიგენე სიტყვა 'ზნელის', როგორც ომონიმური აღმნიშვნელის შემთხვევაში. უპირველეს ყოვლისა, 'ზნელად' იწოდება ცოდვით დაცემული ადამიანის ყოფა, რომელიც ისმენს 'ზნელის' და არა 'ნათლის' სიტყვას. მაგრამ პეიორატიული მნიშვნელობის პარალელურად, 'ზნელს' პოზიტიური მნიშვნელობებიც აქვს. ეს სიტყვა საღვთო წყვილიადს აღნიშნავს, რომელიც ღმერთმა ადამიანის უმეცრების გამო და მის საწრთობად საფარად დაიდო. მეორე მხრივ, ამ სიტყვას იმ შემთხვევაშიც აქვს პოზიტიური სემანტიკა, როცა ის კაცობრივი უმეცრების იმ სიბნელის აღმნიშვნელია, რომელიც ნათლისკენ იღვწის და უმეცრებას აღიარებს. ერთი წევრი ომონიმებიდან საკუთარივე მნიშვნელობით (κυρίως) გამოითქმის, ხოლო მეორე – არასაკუთარივე მნიშვნელობით (καταρηστικως) ანუ პირველთან მიმართებით.

ცნება 'ომონიმურობის' გამოყენება ყოფიერების სხვადასხვა რეგისტრის მიმართ პლატონიზმში გვხვდება, როცა მსჯელობა მარადიულ იდეებსა და მათ ცვალებად გრძნობად ობიექტებს შორის მსგავსებას ეხება. ორიგენემ

<sup>29</sup> თ. დოლიძე, ომონიმია – ორიგენეს პერმენევტიკის სტრუქტურული ელემენტი, კრებულში: ფილოსოფია. ღვთისმეტყველება. კულტურა. პრობლემები და პერსპექტივები. საიუბილეო კრებული მიძღვნილი გურამ თევზაძის 75 წლისთავისადმი, გამ. "ნეკერი"/ გამ. "არხე", თბ., 2007, 18-29.

<sup>30</sup> Comm. in Joh. II 25-28 (Preuschen 81, 29-85, 25); შდრ. Joh. I,5.

ომონიმის ცნება უშუალოდ პლატონური ტრადიციიდან მიიღო და ამ ცნებას ბიბლიის ჰერმენევტიკაში სისტემური ხასიათი მიანიჭა, თუმცა თავად ტერმინი მასთან არც ისე ხშირად გვხვდება.

ონტოლოგიაზე მისადაგებული ომონიმის ცნება ეფექტური იარაღი აღმოჩნდა სხვადასხვა ონტოლოგიური რეგისტრის განსხვავებიდან მათ მსგავსებაზე, საღვთო ტრანსცენდენტურობიდან მის იმანენტურობაზე და კვლავ ტრანსცენდენტურობაზე გადასასვლელად, რითაც შესაძლებელი იყო ბიბლიის თვითმიფარული ენის – მისი მარტივი გამონათქვამებისა თუ პარადოქსების – საღვთო მნიშვნელობით განმარტება.

#### (ბ) ობიექტის დეკონსტრუქცია და პერიგრაფია

ალექსანდრიელი ღვთისმეტყველის აზრით, ადამიანის ინტელექტისთვის არა მხოლოდ ის არის დამახასიათებელი, რომ მას შეუძლია ღვთაებრივი რეალობის მხოლოდ უსაზღვროდ მცირე ნაწილი შეიმეცნოს, არამედ ისიც, რომ ის შესამეცნებელ მთლიანობას ნაწილებად შლის. ამ წესით მოქმედებს ენაც. თუ ღვთისმეტყველებას ავიღებთ, ზემოთქმული ნიშნავს, რომ ჩვენს გონებას ღვთის სიმარტივისა და სისავსის გააზრება და გამოთქმა მხოლოდ მისი ცალკეულ ცნებებად (ἐπίνοιαι) დაყოფის პირობებში შეუძლია, ე.ი. ის ნაწილებად ჰყოფს იმას, რაც ღმერთში განუყოფელია<sup>31</sup>. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი შემეცნებითი და რეფერენციული უნარების ეს თავისებურება იმის დასტურია, რომ ადამიანის გონება უძლურია, ღვთაებრივი სრულყოფილება მთლიანობაში აღიქვას, ორიგენე ობიექტის დეკონსტრუქციულ აღწერას მაინც პოზიტიურად აფასებს. იოანეს სახარების განმარტებაში, ისევე როგორც ორიგენეს სხვა თხზულებებში, ქრისტეს ἐπίνοιαι-ს ანუ ეპითეტების ჩამონათვალი ('სიბრძნე', 'სიტყვა', 'გზა', 'კარი', 'ჭეშმარიტება', 'სიცოცხლე', 'პური', 'ვენახი' და სხვ.) მის არასრულ, მაგრამ ადეკვატურ დახასიათებად წარმოგვიდგება<sup>32</sup>. ქრისტეს მიმართ გამოთქმული ეს ცნებები სემანტიკურად მჭიდროდ გადაჯაჭვულნი არიან და ერთობლივად, მრავალფეროვანი დენოტაციით ცდილობენ მისი საღვთო ბუნების მარტივი მთლიანობის გარეშემოხაზვას (პერიგრაფიას).

#### (გ) ეგზეგეტის ენის მიმართება ბიბლიის ენასთან

ორიგენეს, როგორც ბიბლიის ეგზეგეტს, ხშირად ახასიათებს ამა თუ იმ *pericope*-ს განხილვისას, საკუთარი აზრის ვარაუდის სახით გამოთქმა. ის ზოგჯერ რამდენიმე ინტერპრეტაციასაც სთავაზობს მკითხველს, რათა ამ

<sup>31</sup> ორიგენეს ჰერმენევტიკაში სტოური წარმომავლობის პლატონური ტერმინი ἐπίνοια გამოხატავს ადამიანის ინტელექტის კოგნიტურ-სემიოტიკური ქმედების ობიექტურ ცნებით შედეგს.

<sup>32</sup> Comm. in Joh. 1,9-10: 14,12-16,20; ob. M. Harl, *Origène et la fonction révélatrice du verbe incarné*, Paris, 1958, 121-123.



სახით გამოხატოს მოწიწება წმინდა ტექსტის საღვთო საიდუმლოს მიმართ. ორიგენეს სტრატეგიის შემადგენელი ნაწილია ის ენობრივი ფაქტიც, რომ ალექსანდრიელი ეგზეგეტი ცდილობს სიახლოვე შეინარჩუნოს განსამარტავი ტექსტის ფრაზეოლოგიასთან. იმ რწმენით, რომ ბიბლიურ ტექსტში კაცობრივი სიტყვა საღვთო ენერგიით ივსება, მას სწორად მიაჩნია, კომენტატორმა არა იმდენად ლოგიკურ-დისკურსიული ცნებები გამოიყენოს, რამდენადაც ბიბლიის ციტატებით ისაუბროს, ხოლო, როცა საკუთარ მსჯელობას მიმართავს, იქ მიზამოს ბიბლიურ ავტორებთან მოცემულ მეტაფორულ ლექსიკას<sup>33</sup>. მისი "ქებათა ქების განმარტება" ერთ-ერთ თვალნათლივ მაგალითს წარმოგვიდგენს იმისა, თუ როგორ ქმნის ორიგენე ამ პრინციპზე დაყრდნობით ავთენტურ თეოლოგიურ დისკურსს და, ამასთანავე, განმარტებისთვის აუცილებელ ნათელ სტილს ინარჩუნებს. მოვიხმოთ ერთ პასაჟს "პროლოგიდან", რომელიც "შეუღლების" რთული მისტიკური ლექსიკით არის დახუნძლული, რითაც ალექსანდრიელი ღვთისმეტყველი სოლომონის "ქებათა ქების" მეტაფორულ ენობრივ ქსოვილს ჰზამავს. ორიგენეს განმარტებისთვის თვისებრივი ეკლესიურ-პნევმატური ასპექტები აქ მჭიდროდ არის ერთმანეთთან გადაჯაჭვული, რაც ეგზეგეტს სინტაქსის დონეზეც სურს ასახოს:

"წინამდებარე თხზულება იმ სიყვარულზე მოგვითხრობს, რომლითაც ნეტარი სული ღვთის სიტყვისადმი ანთებულია და იწვის, და სულიწმიდის მეოხებით საქორწინო გალობას აღავლენს, რომლითაც ეკლესია ეუღლება და უკავშირდება ქრისტეს, მის ზეციურ სიძეს; სურს, რომ სიტყვით შეერწყას მას, რათა მუცლად ილოს მისგან და შეძლოს ჩვილთა ამ წმინდა შობით გადარჩენა, როცა ისინი რწმენასა და სიწმინდეში მღვიძარებით აღორძინდებიან. ისინი ხომ ღვთის სიტყვის თესლით არიან ჩასახულნი, ქმნილნი და შობილნი, ან უბიწო ეკლესიის ან სულის მიერ, რომელიც ხორციელსა თუ ნივთიერს არაფერს ეძიებს, არამედ მარტოოდენ ღვთის სიტყვისადმი სიყვარულით იწვის"<sup>34</sup>.

ორიგენემ ბიბლიური მეცნიერების შექმნით დიდი სულიერი მემკვიდრეობა დაუტოვა ქრისტიანულ ღვთისმეტყველებას. მან მიზნად დაისახა რწმენის მოწმობის მეცნიერული დაცვა, რითაც მნიშვნელოვანწილად საფუძველი ჩაუყარა როგორც საღვთო წერილის განმარტების ქრისტიანულ თეორიას, ისე ქრისტიანული რწმენის სისტემურ ექსპოზიციასაც ანუ რეფლექსურ ღვთისმეტყველებას. საკუთრივ ბიბლიური სემიოტიკის სფეროში ის იმდენად იყო სიახლის შემომტანი, რამდენადაც მან პირველად გამოკვეთა აზრი, რომ ბიბლიური ტექსტი და ბიბლიური სიტყვა არა ღვთის ლოგო-

<sup>33</sup> იბ., მაგ., In CantComm 64, 24: Origenes, hrsg. v. W. A. Baehrens, GCS 8, Leipzig, 1925.

<sup>34</sup> In CantComm 74, 10-18 (Baehrens).

სის უშუალო გაცხადებაა, არამედ კაცობრივი და ღვთის სიტყვის შეხვედრის არე.

**Tina Dolidze**

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

### ORIGEN – AN ARCHITECT OF THE NOVEL COGNITIVE SYSTEM

This article examines theoretical principles of Origen's biblical hermeneutics and some fundamental features of his scientific method for the explanation of the scriptural text. In discussing the conceptual ground of biblical hermeneutics, the author focuses on the originality of the great Alexandrian's cognitive model, contrary to that of Greek Philosophy, predominantly of Platonism, by which he was strongly influenced. The essential peculiarities of Origen's scholarly thinking are presented as: a) a drastic agnostic point in regard to a mere intellectual quest of mind; b) the relationship of logical-discursive reasoning with biblical evidence as an alternative method of thinking to philosophy; c) biblical evidence as a true premise for attaining the truth through scholarly reasoning. Furthermore, Origen is considered to have played a highly important role in the development of allegorical interpretation of the Bible established in the Alexandrian theological tradition. Although Origen follows his predecessors in acknowledging the significance of historical and moral interpretations of the biblical narrative, his consistent adherence to the Transcendent results in the construction of allegorical metaphysics in a systematic manner. The paper also dwells on the idea of the veiled truth of the Scripture, the reception Paul's 'shadow' theology, being based on Christological economy of revelation, and the novel system of the Christian metaphysics of language constructed by Origen.

After outlining the common conceptual ground, the discourse briefly turns to some main themes which illustrate the techniques of the Alexandrian's scholarly hermeneutics: 'equivocality' and 'paradox', multiplication of the object and its perigraphy, the biblical language and an articulation of a biblical interpreter.

The author of this paper maintains that in his enterprise to corroborate the records of faith by constructing a scholarly doctrine, Origen not only founded biblical hermeneutics, but also constructed the first systematic exposition of the Christian faith – that is, Christian reflexive theology.